ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №18
2023 წლის 16 მაისი

დაბა ხარაგაული

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებისათვის დოკუმენტების ფორმებისა და მათი აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 77^1 მუხლის, 77^2 მუხლის, 82^5 მუხლის, 146^1 მუხლის, 151-ე მუხლის, 152^3 მუხლის, 152^5 -152^9 მუხლების, 158^5 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 209^3 მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილების, 234^1 მუხლის, 239-ე მუხლის 27-ე ნაწილის, 240-ე მუხლის, 242-ე მუხლის 3^1 ნაწილის, 243-ე მუხლის 2^1 ნაწილის, 268-ე მუხლის მე-7 ნაწილის, 270-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 272-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 273-ე მუხლის, საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“ 47-ე მუხლის პირველი, მე-8, მე-12-მე-15 ნაწილების, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 77^1 მუხლის, 77^2 მუხლის, 82^5 მუხლის, 146^1 მუხლის, 151-ე მუხლის, 152^3 მუხლის, 152^5 -152^9 მუხლების, 158^5 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“ 31-ე-35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილნი არიან ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის (შემდგომში – სამსახური) დებულებით განსაზღვრული საჯარო მოხელეები (შემდგომში – საჯარო მოხელე).

მუხლი 2

დამტკიცდეს:

1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 77^1 მუხლის, 77^2 მუხლის, 82^5 მუხლის, 146^1 მუხლის, 151-ე მუხლის, 152^3 მუხლის, 152^5 -152^9 მუხლების, 158^5 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე-35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი (დანართი №1);

2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა (დანართი №2);

3. საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა (დანართი №3);

4. სააღსრულებო ფურცლის ფორმა (დანართი №4);

5. სამართალდამრღვევის ახსნა-განმარტების ფორმა (დანართი №5);

6. საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის აღრიცხვის ჟურნალი (დანართი №6);

7. გამოსაყენებლად უვარგისი საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციულ სამართალდაღვევათა ოქმების ჩამოწერის ფორმა (დანართი №7).

მუხლი 3

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული, თვითმმართველობის უფლებამოსილებას მიკუთვნებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, მისი წარმოების, გამოყენების და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 4 იანვარის დადგენილება №2 (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი, 08/01/2016, სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.128.016247).

მუხლი 4

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2023 წლის 1 აპრილიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**